ეროვნული ბიბლიოთეკა



კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის დეკემბრის 16.	№ 23 ვანყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული. კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 246. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესის თაობაზე 1925 წ. აპრილის 2-ის თარიღიდ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 247. ა/კსფსრ-ში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის შესახებ.

„ 248. მოსაწვევი თამბაქოს საეტიკეტო ფასების შესახებ.

„ 249. სახურავი რკინის ბითუმად, ნახევარ-ბითუმად და ცალობითი ვაჭრობისას მაქსიმალურ-უკიდურესი ფასებისა და წანაბატის დაწესების შესახებ.

„ 250. ა/კსფსრ ტერიტორიაზე საბჭოთა არჩევნების ჩატარებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ 1928 წ.

„ 251. ამიერკავკასიის ცენტროალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ტყის კულტურის სფეროში მოშაობისათვის საჭირო სპეციალური სახსრის თაობაზე“ 1927 წლის მარტის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 352. უქმე და დასვენების განსაკუთრებული დღეების შესახებ.

„ 253. ინსტრუქცია ა/კსფსრ-ში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის განხორციელების წესის შესახებ.

„ 254. გაერთიანებული და არაგაერთიანებული უწყებებისა და ცენტრალური დაწესებულებების მიერ საშტატო-საჯამაგირო ნუსხების წარდგენის ვადების შესახებ.

„ 255. ამიერკავკასიის რკინისგზების ადგილობრივი ტარიფის მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის საწყობთან ტფილისის სადგურზე შეშის განსატვირთავად ვაგონების მიყენებისათვის და განჯის ვიწრო-ლიანდაგიან შტოზე მგზავრების გადაყვანისათვის.

„ 256. შემთანხმებელი კომისიების შესახებ იმ შეუთანხმებლობათა „გადასაწყვეტად, რაც აღიძვრის კოოპერაციისა და ა/კსფსრ სახელმწიფო მრეწველობის საწარმოთა შორის გენერალურ ხელშეკრულებათა და სხვა შეთანხმებათა დადებისა და აღსრულების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 688. დაიბეჭდა 800.

დადგენილება № 54 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

246. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესის თაობაზე 1925 წ. აპრილის 2-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-5-მუხლის შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. შეცვლილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—კომერციულ ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო სავაჭრო და სამრეწველო-საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესის შესახებ—1925 აპრილის 2-ის თარიღითა და 18 №-ით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1925 წ. № 4, მუხ. 411) მე-5 მუხლი და მიღებულ იქნეს იგი შემდეგი რედაქციით:

„5. ამერიკაეკასიის მასშტაბის საწარმოთა ბალანსების განხილვას და დამტკიცებას, მათი კომერციული მოქმედების შედეგების განსაზღვრას და მოგების განაწილებას აწარმოებს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო კომისია. კომისიის შედგენილობაში შედიან გადამწყვეტი ხმის უფლებით ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი წარმომადგენელი და თითო პასუხისმგებელი წარმომადგენელი ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, პროფესიონალური კავშირების ამერკაეკასიის საბჭოსი და იმ უწყებისა, რომლის გამგებლობაშიაც იმყოფება ის საწარმო, რომლის ბალანსიც განხილულ უნდა იქნეს“.

II. ამავე დადგენილების მე-5 მუხ. შენიშვნა ძალაში დარჩეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. საქ. მმართველი-**სოკოლოვსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1927 წ. ნოემბრის 15.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1640 №-ში 1927 წ. დეკემბრის 1-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 56 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

247. ა/კსფსრ-ში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის განხორციელების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ-სა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის დანორმვის შესახებ“ 1926 წლის მარტის 18-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (კან. კრებ. 1926 წ. 3 №-რი, მუხ. 619) შესაცვლელად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს 1928 წლის იანვრის 15-დან სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის სისტემა ა/კსფსრ და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულებაში შემდეგ საფუძველზე:

ა) ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი შეიმუშავებს თანამდებობათა ნომენკლატურასა და დახასიათებას;

ბ) დაწესდება მტკიცე შტატები, წინა პუნქტში გათვალისწინებული ნომენკლატურის შეფარდებით;

გ) დაწესდება მტკიცე ჯამაგირის რაოდენობა თვითეული საშტატო თანამდებობისათვის.

2. აპარატის რაციონალიზაციისა და შემცირებისათვის წარმოებულმა მუშაობამ ხელი არ უნდა შეუშალოს სამუშაო ხელფასის დანორმვის ჩატარებას და ეს მუშაობა არ უნდა წარმოადგენდეს აუცილებელ წინასწარ პირობას დანორმვის განხორციელებისათვის.

3. შტატებს დაწესებენ (1-ლი მუხ. „ბ“ პ.) ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი და აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები, კუთვნილებისამებრ.

4. ჯამაგარის რაოდენობას საშტატო თანამდებობისათვის (1-ლი მუხ. „გ“ პ.) დაიწესებენ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი და აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატები,—კუთვნილებისამებრ,—სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

5. სახელმწიფოებრივი დანორმვის განსახორციელებლად წარმოებული მუშაობის დაჩქარების მიზნით, ეს მუშაობა ჩატარებულ უნდა იქნეს შემდეგი წესით:

ა) უწყებანი და დაწესებულებანი შეიმუშავებენ, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ გადაცემულ თანამდებობათა ნომენკლატურის თანახმად, შტატებისა და ჯამაგირების პროექტებს, რომელთაც, კავ-

შირის სათანადო ცენტრალურ გამგეობასთან შეთანხმების შემდეგ, გაჰგზავნიან განსახილველად (შტატების ნაწილის) მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებში. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები ვალდებულნი არიან წარდგენილი პროექტები განიხილონ არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა;

ბ) მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატის მიერ აღნიშნულ საშტატო-საჯამაგირო ნუსხების პროექტთა (შტატების ნაწილის) განხილვის შემდეგ, ეს პროექტები გადაეცემა განსახილველად ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს,— კუთვნილებისამებრ,—მტკიცე შტატების დასაწესებლად.

6. შტატებსა და ჯამაგირებს დაიწესებენ: არაგაერთიანებულ სახალხო კომისარიატებისა და რესპუბლიკანურ დაწესებულებათათვის—სათანადოდ—აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სსრ-ბის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები და შრომის სახალხო კომისარიატები; გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებისა და ფედერატიულ დაწესებულებათათვის—ა/კსფსრ მუშათა დაგლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი.

შენიშვნა. გაერთიანებულ უწყებათა რესპუბლიკანურ ორგანოებისათვის შტატები და ჯამაგირები წინასწარ შემუშავდება ადგილობრივად და შეთანხმებულ იქნება სათანადო უწყების ხელმძღვანელთან ცენტრში.

7. ამა დადგენილების მე-3 და მე-5 პუნქტებით დაწესებული შტატები შემდეგში არ შეიძლება გადიდებულ იქნეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების (კუთვნილებისამებრ) დამტკიცების გარეშე.

8. სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვა განხორციელებულ უნდა იქნეს სამუშაო ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დაწესებულია 1927-28 წლის ბიუჯეტითა და იმ ბიუჯეტს-გარე მტკიცე წყაროების ფარგლებში, რომელთა დახარჯვაც ნებადართული იქნება სამუშაო ხელფასისათვის სპეციალური ხარჯთაღრიცხვებით (უწყებათა სპეცსახსრები, სამკურნალო ფონდი), ხოლო იმ პირობით კი, რომ ეს თანხები დაიხარჯება მარტოოდენ განსაკუთრებული შტატის შესანახად, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის შეტანილი, და არა სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული შტატის დამატებითი სასყიდლისათვის.

9. სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვა განხორციელებულ უნდა იქნეს იმ ფაქტიური ხელფასის მიხედვით ამა თუ იმ თანამდებობისათვის, რაც დაწესებული იქნება ან პროფკავშირთან შეთანხმების წესით, ან და იმის მიხედვით, რაც ფაქტიურად გადახდილია ამა თუ იმ თანამდებობისათვის არა უმცირეს უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში; ამისთანავე ადგილი არ უნდა ექნეს ფაქტიური სამუშაო ხელფასის შემცირებას მომუშავეთა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი რიცხვისათვის.

10. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული თანამდებობრივი ჯამაგირები მტკიცე განაკვეთებია და არ შეიძლება შეცვლილ იქნეს დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მისი შემცირებითა თუ გადიდებით.

11. სამუშაო ხელფასისათვის ასიგნული თანხების დაუხარჯველი ნარჩენები ყოველი კვარტალის დასრულების შემდეგ შეტანილ უნდა იქნეს სახელმწიფო შემოსავალში.

12. მთელი მუშაობა სახელმწიფოებრივი დანორმვის ჩასატარებლად უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 1928 წლის თებერვლის 1-ისა.

13. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატსა და პროფკავშირთა ამიერკავკასიის საბჭოსთან შეთანხმებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველი **სოკოლოვსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. დეკემბრის 1.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1642 №-ში 1927 წ. დეკემბრის 3-ს.

დადგენილება № 15 ა/კსფსრ ვაჭროგის სახალხო კომისარიატისა.

(სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველო)

1927 წლის აგვისტოს 25.

248. მოსაწევი თამბაქოს საეტიკეტო ფასების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წლის ივნისის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ" პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ამა წლის ივნისის 23-ის დადგენილების თანახმად, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1925 წლის აგვისტოს 30-ს თარიღისა და 38 №-რისა და 1926 წლის ოქტომბრის 7-ის თარიღისა და 53/109 №-რის დადგენილებათა შესაცვლელად, ადგენს:

1) დაწესებულ იქნეს საეტიკეტო ფასები მოსაწევ თამბაქოზე, მომქმედ საექციზო განაკვეთების ჩათვლით:

I ხარისხის	A	1	კილგრ.	11	მ.	40	კ.,	ჩაფუთული 100	გრ. 1 მან. 14 კ., 50	გრ. —
„	„	Б	„	9	მ.	60	კ.,	„ „ „	96	კ., „ 48	კ.
II	„	A	„	6	მ.	50	კ.,	„ „ „	65	კ., „ 33	კ.
„	„	Б	„	5	მ.	—		„ „ „	50	კ., „ 25	კ.
III	„		„	3	მ.	30	კ.,	„ „ „	33	კ., „ 16	კ.

2) ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებული საეტიკეტო ფასები არა ვრცელდება უმადლესი ხარისხის მოსაწევ თამბაქოზე.

3) ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ხარისხების მოსაწევი თამბაქო შეიძლება გამოშვებულ იქნეს მხოლოდ რბილ საფუთავში (პაჩკაში).

4) დანორმილი ხარისხის მოსაწევ თამბაქოს ყოველ სათავსზე (პაჩკაზე) აღნიშნული უნდა იყოს: ა) ფაბრიკისა ან სახელოსნოს სახელწოდება, ბ) ადგილმდებარეობა, გ) თამბაქოს სახელწოდება (მარკა), დ) ნომერი, ე) თამბაქოს წონა სათავსში (პაჩკაში), ვ) თამბაქოს ხარისხი, ზ) ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებული საეტიკეტო ფასი, და თ) წარწერა: „აღნიშნულ ფასზე ძვირად გაყიდვა დაისჯება კანონით“.

5) დაწესებულ იქნეს შემდეგი მინიმალური მონაკლები მოსაწევი თამბაქოს ბითუმად და წვრილ-ბითუმად გაყიდვის დროს (რაოდენობით არა ნაკლებ 20 კილოგრამისა):

ა) თამბაქოს მიყიდვის დროს იმ სახელმწიფო და კოოპერატიული საწარმოთა და ორგანიზაციათათვის, რომელნიც საბითუმო და მასთან ერთად ცალობით ვაჭრობას ეწევიან, დაწესებულ იქნეს მონაკლები არა უმცირეს, ვიდრე ცალობითი ფასის 13,5 %-სა ფრანკო-დანიშნულების სადგური ან ნავთსადგური, უკეთუ საქონლის გაცემა სწარმოებს უშუალოდ ფაბრიკიდან და ფაბრიკის საწყობიდან, და ფრანკო გამყიდველის საწყობი, უკეთუ გაცემა სწარმოებს ყველა დანარჩენ საწყობიდან; ამასთანავე მყიდველს უცილობელი უფლება ეძლევა ფაბრიკიდან და ფაბრიკის საწყობებიდან თამბაქოს მიღებისა.

შენიშვნა. სამრეწველო საწარმოთა მიერ საოლქო და რესპუბლიკანური მასშტაბის ყველა კოოპერატიული ორგანიზაციისათვის თამბაქოს გაცემის დროს, ზემო აღნიშნული მონაკლების—15,5%—გარდა, დაწესებულ იქნეს დამატებითი მონაკლები 0,5%-ის რაოდენობით.

ბ) თამბაქოს მიყიდვის დროს იმ სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის, რომელიც მარტოოდენ ცალობითი ვაჭრობას ეწევა, დაწესებულ იქნეს მონაკლები არა უმცირეს, ვიდრე ცალობითი ფასის 10-%-ის რაოდენობისა ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

6) დადგენილება ესე ვრცელდება წინად დადებულ ხელშეკრულებათა და გარიგებათა მიმართ ნაწილზეც, რომლითაც გამყიდველის მიერ საქონელი (თამბაქო) ჩაბარებული არ ყოფილა ამა დადგენილების ძალაში შესვლის მომენტისათვის.

7) თამბაქოს იმ მარაგის რეალიზაციის მიზნით, რაც გამოშვებული იყო ფაბრიკებიდან და მრეწველობის საბაზისო საწყობებიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე, ნებადართულ იქნეს მათი გაყიდვა სამი კვირის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან იმ ფასებში, რაც დაწესებული იყო

ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1926 წლის ოქტომბრის 7-ის თარიღისა და 52/109 №-ის დადგენილებით; აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ თამბაქოს გაყიდვა ბაზარზე დამოუკიდებლად იმ ფასებისა, რაც ეტიკეტზეა აღნიშნული, უნდა სწარმოებდეს ამა დადგენილებით დაწესებული ფასების მიხედვით.

8) დადგენილება ესე ვრცელდება სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებსა, კოოპერაციასა და კერძო ვაჭრობაზე.

9) ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

10) ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

11) დადგენილება ესე ძალაში შედის 1927 წლის აგვისტოს 25-დან.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრეწველო და სასურსათო
საქონლის სამმრთვ. უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **გნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1644-№-ში 1927 წ. დეკემბრის 6-ს.

დადგენილება № 14 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველო)

1927 წლის აგვისტოს 25.

249. სახურავი რკინის ბითუმად, ნახევარ-ბითუმად და ცალობით ვაჭრობისთვის მაქსიმალურ-უკიდურესი ფასებისა და წანამატების დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წლის ივნისის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ" პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ამა წლის მაისის 25-ის დადგენილების თანახმად, ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახ. კ-ტის 1926 წლის აგვისტოს 6-ის თარიღისა და 39/95 №-რის დადგენილების შესაცვლელად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს საკავშირო მეტალურგიული სინდიკატისა, სინდიკატებისა, ტრესტებისა, ცალკე ქარხნებისა, მათი სავაჭრო შენაერთებისა და გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილებათათვის შემდეგი ძირითადი უკიდურესი ფასები ნაღდ ანგარიშზე ვაჭრობის დროს ფრანკო-ვაგონი ან ახდილი პლათფორმა საერთო სარგებლობის რკინის გზის გაგზავნის სადგურზე და აგრეთვე ფრანკო—ბარჯა-ნავთსადგური,—ქარხნების ჯგუფების მიხედვით:

საქონლის სახელწოდება	„იუგოსტალი"-სა, „ურალმეტი"-სა და „ჩრდილო-ვიატკის ოლქი"-სა და ქარხანა „წითელი ოქტომბერი".	ცენტრის ქარხნები
რკინა სახურავი 1 ტონ. მე-3 ხარ. 11 გირ-ნი	173 მან. 30 კაპ.	179 მ. 20 კ.

2. სახურავი რკინის ვაჭრობის დროს ანგარიშის გასწორებისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ღირებულება რკინისგზის საშუალო-ანაწონის ფრახტისა „იუგოსტალი"-სა, ურალისა და ჩრ.-ვიატკის ოლქის ქარხნებიდან და ქალ. სტალინგრადში არსებულ „წითელი ოქტომბრის" ქარხნიდან დანიშნულების სადგურამდე:

ა) საქართველოს სსრ-ში:

ქ. ტფილისამდე	43 მან.	
ქ. თელავამდე	43 მან.	66 კაპ.
ქ. ფოთამდე	44 „	98 „
ქ. ქუთაისამდე	44 „	32 „
ქ. ბათომამდე	45 „	21 „
დანარჩენ პუნქტამდე	43 „	38 „

ბ) აზერბაიჯანის სსრ-ში:

ქ. ბაქომდე	39 მან.	60 კაპ.
ქ. განჯამდე	41 „	78 „
დანარჩენ პუნქტამდე	40 „	70 „

გ) ნახიჩევანის მხარეში:

ქ. ნახჩევანამდე	46 მან.	07 კაპ.
ქ. ჯულფამდე	46 „	40 „
დანარჩენ პუნქტამდე	46 „	29 „

დ) სომხეთის სსრ-ში:

ქ. ერევნამდე	45 მან.	30 კაპ.
ქ. ლენინაკანამდე	44 „	37 „
ქ. ყარაქლისამდე	44 „	—
დანარჩენ პუნქტამდე	44 „	75 „

3. დაევალოს საკავშირო მეტალურგიულ სინდიკატს, სინდიკატებს, ტრესტებს, ცალკე ქარხნებს, მათ სავაჭრო შენაერთებსა და განყოფილებებს გაჰყიდონ სახურავი რკინა ფრანკო-ვაგონი დანიშნულების სადგურზე და აგრეთვე ფრანკო-ბარჯა დანიშნულების ნავთსადგურში იმ უკიდურეს საგასაცემო ფასებში, რაც დაწესებულია „იუგოსტალი"-სა, ურალისა, ჩრ.-ვიატკის ოლქის ქარხნებისათვის და ქარხანა „წითელი ოქტომბრისთვის", რასაც უნდა დაემატოს რკინისგზის საშუალო-ანაწონის ფრახტის ღირებულება იმ რაოდენობით, რაც განსაზღვრულია ამა დადგენილების მე-2 მუხლით, და აგრეთვე კრედიტის ღირებუ-

ლება—წლიური 12% ანგარიშის მიხედვით, 90 დღის ვადით, სახელდობრ— 6 მან. 18 კაპ.

შენიშვნა. ნაღდ ანგარიშზე გაყიდვის დროს და აგრეთვე მყიდველის სურვილის მიხედვით ამა დადგენილების მ-3 მუხ. გათვალისწინებული კრედიტის ვადის შეცვლის დროს—კრედიტის ღირებულება სათანადოდვე უნდა შეიცვალოს. წლიური 12% ანგარიშისა და სახურავი რკინის საშუალო ღირებულების მიხედვით. თვითეულ ტონნაზე 206 მანეთის დამატებით.

4. გზათა სახალხო კომისარიატისა და სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატის საჭიროებისათვის სახურავი რკინის გაცემის დროს ამა დადგენილების მე-2 მუხ. დაწესებული ფასები სავალდებულო არ არის. სახურავი რკინის აღნიშნულ მომხმარებლებს უფლება აქვთ მოსთხოვონ ლითონის მრეწველობას ან მის სავაჭრო ორგანოებს სახურავი რკინის გაცემა ფრანკო-ვაგონი გაგზავნის სადგურის ფასების მიხედვით, თანახმად ამა დადგენილების 1-ლი მუხლისა.

5. დანამატები და მონაკლები სახურავი რკინის ცალკე ხარისხებისათვის, ღირსებისათვის, გადაწონისათვის, ტეხნიკური მიღებისათვის, სიგრძისათვის, გაცემის სხვადასხვა სახისათვის და სხვ. უნდა დამამატოს ან მოეკლოს ამა დადგენილების 1-ლი მუხ. დაწესებულ ფასებს, თანახმად საკავშირო მეტალურგიულ სინდიკატში შემავალ ლითონის საწარმოთა კონვენციის შავ ლითონზე დაწესებული დანამატების პრეისკურანტისა, რომელიც გამოცემულია 1926 წელს, და იმ ცვლილებებისა, რაც აღნიშნულია სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წლის თებერვლის 4-ის თარიღისა და 23 №-რის დადგენილებაში (დამატება ჟურნალისა „სოვეტსკაია ტორგოვლია", 20—21 №-რი, 1927 წ. აპრილის 10). ყველა აღნიშნული მიმატება ან მოკლება უნდა ხდებოდეს ერთი-დანახევარის რაოდენობით.

6. „იუგოსტალ"-ის ქარხნებისა და ქ. სტალინგრადში არსებულ ქარხანა „წითელი ოქტომბრის" სახურავი რკინის ფასებზე, რაც განსაზღვრულია ამა დადგენილებით, დაწესებულ იქნეს ოლქებისა და გუბერნიებისათვის მონაკლები შემდეგი რაოდენობით:

საქართველოში შემოზიდვისას	15	მან.	10 კაპ.
აჯარისტანში „	14	„	60 „
სომხეთში „	14	„	60 „
აზერბაიჯანში „	15	„	60 „

7. „ცენტროსოიუზ"-სა, „სელსოუზ"-სა და მათ მენაწილეთ გენერალურ ხელშეკრულებებსა და სხვა საკონტრაქტო გარიგებებში და აგრეთვე სრ. რუსეთის სამრეწვ. კოოპერაციის კავშირს, სახურავი რკინის სატრანზიტო წესით გაყიდვის დროს, უფლება აქვთ მრეწველობის საგასაცემო ფასებს—დანამატებითურთ,—დაარიცხონ წანამატი ამა დადგენილების 1-ლი და მე-5 მუხლის თანახმად,—არა უმეტეს 2%-ისა.

8. ყველა დანარჩენ საავჭრო ორგანიზაციას, რომელიც მოხსენებული არ არის ამა დადგენილების მე-7 მუხ., სახურავი რკინის სატრანზიტო წესით გაყიდვისას უფლება ეძლევა ამა დადგენილების 1-ლ და მე-5 მუხ.. დაწესებულ ფასებს დაარიცხოს წანამატი არა უმეტეს 3%-ისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა მე-7 და მე-8 მუხლისა. უკეთუ სახურავი რკინა გაივლის კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოების სისტემას ტრანზიტით ცენტრალური საფეხურიდან დაწყებული, ვიდრე ძირეული ცალობით მოვაჭრე საფეხურამდე, საშუალო საფეხურის მეშვეობით,—ცენტრალურსა და საშუალო საფეხურებს ერთად უფლება ეძლევათ მრეწველობის ფასებს დაარიცხონ წანამატი საერთოდ არა უმეტეს 3,5%-ისა; ხოლო უკეთუ სახურავი რკინა გაივლის მხოლოდ საშუალო საფეხურამდე,—სატრანზიტო წანამატი დარიცხულ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, იმისდამიუხედავად თუ რამდენჯერ გაიყიდება საქონლის ეს პარტია.

9. სახურავი რკინის ვაჭრობისათვის დაწესებულ იქნეს ბითუმად, ნახევარ ბითუმად და ცალობითი ვაჭრობის შემდეგი გრადაცია:

სახელწოდება	ბითუმად გაცემა	ნახევარ-ბითუმად გაცემა	ცალობით გაცემა.
სახურავი რკინა	2 ტონნაზე მეტი	0,3 ტონნიდან 2 ტონნამდე	0,3 ტონნაზე ნაკლები.

10. სოფლად მოვაჭრე სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის სახურავი რკინის გაცემა იმ ნორმაზე უფრო ნაკლები რაოდენობით, რაც დაწესებულია ნახევრად-ბითუმი ვაჭრობისათვის, უნდა სწარმოებდეს ნახევრად-ბითუმი ვაჭრობისათვის დაწესებული ფასების მიხედვით.

11. საეკჭრო ორგანიზაციების საწყობებიდან სახურავი რკინის ბითუმად, ნახევარ-ბითუმად და ცალობით გაცემის დროს დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი ზედნართები 1 ტონნაზე მანეთობით:

სახელწოდება	ქ. ბაქოსა, ტფილ. და ერევნ.			ა/კსფსრ დანარჩენ ადგილებისათვის.		
სახ. რკინა.	ბით. ვაჭ.	ნახ.-ბით. ვაჭ.	ცალ. ვაჭ.	ბით. ვაჭ.	ნახ.-ბით.	ცალ. ვაჭ.
	14	17	39	23	27	51

12. დაევალოს ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში დააწესონ საშუალო ზედნართები იმ ადგილებისათვის, რომელნიც დაშორებულ არიან ა/კ. რკინისგზის ხაზიდან 10 კილომეტრზე მეტი მანძილით, სახურავი რკინის გადაზიდვის ღირებულების დასაფარავად რკინისგზის უახლოეს სადგურიდან რეალიზაციის ადგილამდე.

13. დაევალოს ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ-ში დააწესონ სახურავი რკინის ვაჭრობისათვის მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატი კერძო ცალობით მოვაჭრეთათვის ამა დადგენილების თანახმად.

14. სახურავი რკინა მიეცეს მხოლოდ იმ კერძო ცალობით მოვაჭრეებს, რომელნიც მიიღებენ ვალდებულებას აღნიშნული საქონელი გაჰყიდონ იმ მაქსიმალურ-უკიდურეს წანამატების მიხედვით, რაც დაწესებული იქნება ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულების მიერ ადგილობრივად.

15. ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

16. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

17. დადგენილება ესე ძალაში შედის 1927 წლის აგვისტოს 25-დან.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრეწვ. და სასურსათო საქონლის
სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **გნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1645 №-ში 1927 წ. დეკემბრის 7-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

250. ა/კსფსრ ტერიტორიაზე საბჭოთა არჩევნების ჩატარებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ 1928 წელს.

რადგანაც 1927 წლის მოწვევის საბჭოების უფლებამოსილობის ვადა ახლო მომავალში უნდა გათავდეს და რადგანაც საჭიროა, რომ საბჭოების არჩევნები და საბჭოთა ყრილობების (რესპუბლიკანურ საბჭოთა ყრილობებამდე, ამ უკანასკნელთა ჩათვლით) მოწვევა გეგმაშეწონილად იქნეს განხორციელებული, და აგრეთვე აღნიშნულ არჩევნებში აქტიური მონაწილეობა მიიღოს მშრომელთა რაც შეიძლება მეტმა რაოდენობამ, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და სრულიად საკავშირო კანონმდებლობასთან სრული შეთანხმებით, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

1. შეუდგნენ ცენტრალურ და ქვემდგომ საარჩევნო კომისიების მოწყობას და აგრეთვე საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების (რესპუბლიკანურ საბჭოთა ყრილობებამდე, ამ უკანასკნელთა ჩათვლით) მოწვევისათვის საჭირო სხვა წინასწარ-მოსამზადებელ ღონისძიებათა განხორციელებას.

2. საარჩევნო კამპანია დაიწყოს 1927 წლის დეკემბრის დამდეგიდან, იმ ანგარიშით, რომ იგი დასრულდეს არა უგვიანეს 1928 წლის აპრილის პირველი ნახევრისა.

3. საარჩევნო კომისიების მოწყობის წესისა, შედგენილობისა და უფლებების განსაზღვრისათვის სახელმძღვანელოდ მიიღონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქცია საბჭოების არჩევნების შესახებ 1928 წ.

4. გამოსცენ საარჩევნო ინსტრუქციები, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების არჩევნების შესახებ 1928 წელს. დამატებანი და ცვლილებანი, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციასთან შედარებით, რაც გამოწვეული იქნება ადგილობრივი საყოფაცხოვრებო პირობებით, შეიტანება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამ დამატებებსა და ცვლილებებს წინასწარ დაამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

5. პუბლიკაცია, უწყება და სხვა ყოველგვარი მიმართვა ამომრჩევლებისადმი, რესპუბლიკანურ ენასთან ერთად, შეადგინონ აგრეთვე ნაციონალურ უმცირესობათა ენებზედაც; ამასთანავე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ა/კსფსრ რესპუბლიკისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით ყველა ამომრჩევლისათვის ნაციონალური უმცირესობის ენის შესახებ მინიჭებული ყველა უფლების განხორციელება.

6. საარჩევნო კამპანიის მთელი დროის განმავლობაში ინფორმაცია მისი მსვლელობის შესახებ რეგულიარულად წარუდგინონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, რისთვისაც უნდა იხელმძღვანელონ ამ უკანასკნელის მიერ დამტკიცებული ფორმები და ვადები.

7. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალმალი-ოღლი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. დეკემბრის 5.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1646 №-ში 1927 წ. დეკემბრის 8-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

251. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ტყის კულტურის სფეროში მუშაობისათვის საჭირო სპეციალური სახსარის თაობაზე" 1927 წლის მარტის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ტყის „კულტურის სფეროში მუშაობისათვის საჭირო სპეციალური სახსარის შესახებ" 1927 წლის მარტის 26-ს გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1927 წ. 6 №-რი, მუხ. 65) მე-3 მუხლის რედაქციის შესაცვლელად, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო დადგენენ:

ზემოაღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით.

„3. სამორე სასყიდლის პროცენტული დანარიცხის რაოდენობას არა უმეტეს 15 პროცენტისა ფოთლიანი და 25 პროცენტისა წაწვიანი ტყისათვის დაწესებენ ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები“.

ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. დეკემბრის 5.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1647 №-ში 1927 წ. დეკემბრის 9-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

252. უქმე და დასვენების განსაკუთრებული დღეების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

I. შრომის კანონთა კოდექსის 111 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხ. 111. მუშაობის წარმოება აკრძალულია შემდეგ უქმე დღეებში:

ა) იანვრის 1—ახალი წელი.

ბ) „ 22—1905 წ. იანვრის 9 და ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღე.

გ) მარტის 12—თვითმპყრობელობის დამხობის დღე.

დ) „ 18—პარიზის კომუნის დღე.

ე) მაისის 1—ინტერნაციონალის დღე.

ვ) სექტემბრის 20—ბაქოს 26 კომისრის ხსოვნის დღე.

ზ) ნოემბრის 7 ⁄ 8—პროლეტარული რევოლიუციის დღე.

თ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლის თავი:

1) აპრილის 28—აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

2) ნოემბრის 29—სომხეთის „

3) თებერვლის 25—საქართველოს „

II. შრომის კანონთა კოდექსის 112 მუხლში სიტყვები: „ყოველწლიურად დასვენების 8 განსაკუთრებული დღე“ შეცვალოს სიტყვებით: „ყოველწლიურად დასვენების 5 განსაკუთრებული დღე“.

ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. დეკემბრის 5-ს.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1648 №-ში 1927 წ. დეკემბრის 10-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია ამერიკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

253. ა/კსფსრ-ში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის განხორციელების წესის შესახებ.

დამტკიცებულია ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატსა, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, 1927 წ. დეკემბრის 10-ს თარიღისა და მე-6 №-რით.

(გამოცემულია თანახმად „ა/კსფსრ-ში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის განხორციელების შესახებ“ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წლის დეკემბრის 1-ლის თარიღითა და 56 №-ით გამოქვეყნებული დადგენილების მე-13 მუხლისა).

1. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის დანორმვა სწარმოებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ-ში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის განხორციელების შესახებ“ ამა წლის დეკემბრის 1-ლის თარიღითა და 56 №-ით გამოცემული დადგენილების თანახმად.

2. სამუშაო ხელფასის უკვე მიღწეული დონის შენარჩუნების მიზნით, სახელმწიფოებრივი დანორმვის განხორციელების დროს მხვედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ბიუჯეტს-გარე წყაროები. ყველა ბიუჯეტს-გარე სახსარი, რაც დახურჯულ უნდა იქნეს სამუშაო ხელფასისათვის, განიყოფება:

ა) იმ სახსარზე, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამუშაო ხელფასისათვის შემდეგში, ე. ი. იმ სახსარზე, რაც სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვაში გაიღლის, და სხვა სადოტაციო სახსარზე, რაც კანონიერად სამუშაო ხელფასისათვის გადაიდება, და

ბ) შემთხვევით შემოსულ თანხებზე, რომელთა სამუშაო ხელფასისათვის დახარჯვა მოსაბილ უნდა იქნეს შემდეგში, სახელმწიფოებრივი დანორმვის განხორციელების მომენტიდან.

იმ სახსართა სამაგიეროდ, რომელთა სამუშაო ხელფასისათვის დახარჯვა შეწყვეტილ იქნება შემდეგში, უწყებებმა უნდა გამოითხოვონ, საჭირო შტატის შესანარჩუნებლად, სათანადო თანხები კანონიერ ბიუჯეტს-გარე წყაროებიდან. უკეთუ მათ ეს თანხები არ მიეცემა, სათანადოდ შემცირებულ უნდა იქნეს შტატები.

ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა და აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის სსრ-ბის მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ეს გარემოება თავიანთი საშტატო მუშაობის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ კრედიტები სამუშაო ხელფასისათვის გაცემულ იქნება ფინანსიურად მოგვარების რამდენიმე წყაროდან, დაწესებული შტატები და განაკვეთები დაექვემდებარებიან კონტროლისა და საბიუჯეტო დისციპლინის საყოველთაოდ შემოღებულ წესებს.

სამუშაო ხელფასის ბიუჯეტს-გარე წყაროების ჩამოყალიბება სათანადო ინსტანციების მეშვეობით დაეკისრება დაინტერესებულ უწყებებს, რისთვისაც ისინი წინასწარ უნდა შეუთანხმდენ ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატსა და ამიერკავკასიის ფინანსისა სახალხო კომისარიატს და სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატსა და ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

3. თანამდებობათა ნომენკლატურას დაწესებს ა/კსფსრ მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატი, რომელი ნომენკლატურის საფუძველზედაც უწყებები შეადგენენ თავიანთ შტატებს.

ა/კსფსრ გაერთიანებული უწყებებისა და ცენტრალური დაწესებულებებისა და სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ მათ დაწესებულებათა შტატებს დაწესებს ა/კსფსრ მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატი, ხოლო არაგაერთიანებული უწყებებისა და დაწესებულებების შტატებს დაწესებენ აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის სსრ-ბის მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატები—კუთვნილებისამებრ.

4. ა/კსფსრ ცენტრალურ დაწესებულებათა გაერთიანებული უწყებებისა და ცენტრალური დაწესებულებებისა და სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ მათ დაწესებულებათა შტატების თანამდებობრივ ჯამაგირებს დაამტკიცებს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა, მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატსა და ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

არაგაერთიანებულ უწყებათა და სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ მათ დაწესებულებათა შტატების თანამდებობრივ ჯამაგირებს დაამტკიცებს აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის სსრ-ბის შრომის სახალხო კომისარიატები ამ რესპუბლიკათა ფინანსთა სახალხო კომისარიატსა, მ/გ. ინსპექციასა და პროფკავშირთა საბჭოებთან შეთანხმებით.

5. აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის სსრ-ბის მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატები და შრომის სახალხო კომისარიატები, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის დეკემბრის 1-ლის თარიღისა და 56 №-ის დადგენილების მე-6 მუხ. შენიშვნის თანახმად, შეიმუშავებენ გაერთიანებულ სახალხო კომისარიატთა ადგილობრივი ორგანოების შტატებსა და ჯამაგირებს ადგილობრივ და გადაუგზავნიან დასამტკიცებლად სათანადოდ ა/კსფსრ მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატსა და ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს, ასევე—ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭოს.

6. ა/კსფსრ გაერთიანებული სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დაწესებულებანი და აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის სსრ-ბის სახალხო კომისარიატები, სათანადო პროფკავშირთა ცენტრალურ გამგეობების მონაწილეობით:

ა) შეადგენენ გამარტივებული საშტატო ნომენკლატურის პროექტს, რისთვისაც იხელმძღვანელენ ა/კსფსრ მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატის თანამდებობათა ნომენკლატურას, და მინიმუმამდე შეამცირებენ თავიანთ შტატებში თანამდებობრივ სახელწოდებათა რიცხვს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გამარტივებული საშტატო ნომენკლატურის საფუძველზე, თავიანთი შტატების ხელახალი შედგენით იმ კონტინგენტთა ფარგლებში, რაც დადგენილია ამ დაწესებულებათათვის 1927-28 წ-თვის, და პროექტით გათვალისწინებული თანამდებობრივი ჯამაგირების თანახმად, შეადგენენ საშტატო-საჯამაგირო ნუსხების პროექტებს დაწესებული ფორმის მიხედვით, 1927-28 წლის ბიუჯეტითა და კანონიერად დასაბუთებულ ბიუჯეტს-გარე სახსარიდან სამუშაო ხელფასისათვის გადადებულ ასიგნებათა ფარგლებში;

გ) შეადგენენ დაწესებულო ფორმით ცნობებს ოქტომბერსა, ნოემბერსა და დეკემბრის პირველ სახეკარში ფაქტიურად გაცემული სამუშაო ხელფასის შესახებ.

7. საშტატო-საჯამაგირო ნუსხათა პროექტები წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) ა/კსფსრ გაერთიანებულ უწყებათა და ცენტრალურ დაწესებულებათა მიერ ა/კსფსრ მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატსა და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში; ამავე დროს ეს პროექტები უნდა გაიგზავნოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭოში;

ბ) არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატების მიერ—აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის სსრ-ბის მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატსა და შრომის სახალხო კომისარიატში; ამავე დროს ეს პროექტები უნდა გაიგზავნოს სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და პროფკავშირთა საბჭოში.

საშტატო-საჯამაგირო ნუსხათა პროექტების წარდგენის ვადებს დააწესებს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით (1927 წ. დეკემბრის 15-სა და 1928 წ. იანვრის 1-ლს შორის განვლილი დროის ფარგლებში).

8. ა/კსფსრ მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატი, არა უგვიანეს 1928 წ. იანვრის 5-ისა, დაამთავრებს საშტატო-საჯამაგირო ნუსხათა საშტატო ნაწილის განხილვას და თავის გადაწყვეტილებას აცნობებს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ხოლო ასლებით—ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და პროფკავშირთა ამიერკავკასიის საბჭოს.

აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის სსრ-ბის მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატები, არა უგვიანეს 1928 წლის იანვრის 5-ისა, დაამთავრებენ საშტატო-საჯამაგირო ნუსხების საშტატო ნაწილის განხილვას და თავიანთ გადაწყვეტილებას აცნობებენ აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის სსრ-ბის შრომის სახალხო კომისარიატებს, ხოლო ასლებით—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა საპალხო კომისარიატსა და პროფკავშირთა საბჭოს.

9. ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი და რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატები, ა/კსფსრ მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებისაგან (კუთვნილისამებრ) ა/კსფსრ გაერთიანებულ და არაგაერთიანებულ უწყებათა და ცენტრალურ დაწესებულებათათვის დაწესებული შტატების შესახებ ცნობების მიღების შემდეგ, განიხილავენ თანამდებობრივი ჯამაგირების პროექტებს და, სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატთან და პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ, დაამტკიცებენ ჯამაგირებს.

10. თანამდებობრივი ჯამაგირების დაწესების დროს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებმა მხედველობაში უნდა მიიღონ სამუშაო ხელფასის მიღწეული დონის შენარჩუნების აუცილებლობა და უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში გაცემული ფაქტიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაო ხელფასი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეამცირონ, როდესაც ცალკე მომუშავის გასაძრჯელო თავისი სიდიდით არ შეესაბამება ამ ადგილის იმავე კვალიფიკაციის მომუშავის ჩვეულებრივ სასყიდელს.

ხოლო უწყებული კვალიფიკაციის ნორმალური სასყიდლის ფარგალში შეიძლება ჯამაგირის განსხვავება თანამოსახლე თანამდებობათათვის, როგორც ერთი რომელიმე რესპუბლიკის სხვადასხვა სახალხო კომისარიატში, ისე ა/კსფსრ-ში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკების თანამოსახელე სახალხო კომისარიტებში.

11. ა/კსფსრ და რესპუბლიკების უწყებათა და მათ დაწესებულებათა შტატში ცვლილების შეტანა 1927-28 წლის განმავლობაში, სახელმწიფო დანორჩენის განხორციელების შემდეგ, როგორიც არის მაგალითად: ცალკე თანამდებობათა შემცირება, მათი გადაჯგუფება სასტრუქტორო დანაწილების მიხედვით საერთო საშტატო კონტიგენტის ფარგალში, საშტატო ერთეულის შეცვლა სხვა უფრო მაღალი ან დაბალი კვალიფიკაციის საშტატო ერთეულით და სხვ., უნდა მოხდეს მხოლოდ ა/კსფსრ მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და რესპუბლიკანური მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატების სანქციით—კუთვნილსამებრ.

12. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის სსრ-ბის შრომის სახალხო კომისარიატების მიერ დამტკიცებული თანამდებობათა ჯამაგირები სავალდებულოა სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ უწყებათათვის და არ შეიძლება შეიცვალოს არც დაწესებულების ხელმძღვანელის შეხედულებით, არც იმავე უწყების ზემდგომი ორგანოს განკარგულებით და არც დამინისტრაციის პროფკავშირთან შეთანხმებით, უკეთუ ეს დადასტურებულ არ იქნა ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა და რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების მიერ—კუთვნილებისამებრ.

13. კვარტალის განმავლობაში დაუხარჯავი სამუშაო ხალფასის კრედიტი შეტანილ უნდა იქნეს სახელმწიფოს შემოსაველად; ამასთანავე დაგროვილი ნაშთიდან უწყებას საბიუჯეტო წლის განმავლობაში აენაზღაურება,—სამუშაო ხელფასის წლიური ფონდის 1 პროც. ფარგალში,—გაწეული კანონიერი ხარჯი, რაც გამოწვეული იქნება დროებითი მომუშავეებისათვის სასყიდლის მიცემით, ავადმყოფ და შეებულებაში წასულ თანამშრომელთა მაგიერ სხვების მოწვევით, გასასვლელი დახმარებისა და კომპენსაციის მიცემით და ზედმეტი მუშაობისათვის სასყიდლის გადებით.

14. სამუშაო ხელფასის გაცემა ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა და რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების მიერ დაწესებული ჯამაგირების მიხედვით სწარმოებს 1928 წ. იანვრის 15-დან. სამუშაო ხელფასის მტკიცე ჯამაგირებით გადახდაზე გადასვლის მომენტიდან კოლეგიტიურ ხელშეკრულებათა მოქმედება იმ ნაწილში, რაც სამუშაო ხელფასის რაოდენობასა და სამუშაო ხელფასის კრედიტების გამოყენებას შეეხება, მოსპობილ უნდა იქნეს.

15. კრედიტების სამუშაო ხელფასისათვის დახარჯვის წესი და გაცემული სამუშაო ხელფასის დადგენილ ჯამაგირებთან შეთანხმებისათვის კონტროლის ფორმები დაწესდება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული ცალკე ინსტრუქციით.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კომ. სატარიფო-საკონფლიქტო განყ. გამგე **ნასყიდლვი.**

შეთანხმებულია: ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მაგიერ **გაბიევი.**

ა/კსფსრ მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილე **ხუმარიანი.**

ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე **იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ეოსტოკა“-ს 1650 № ში 1927 წ. დეკემბრის 13-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშტატო-საჯამაგირო ნუსხა.

. . . . . რესპუბლიკა . . . . . დაწესებულება (სახ. კ-ტი).

სამ. ხელფ-თვის ფსკ მიერ გაცემ. 1927 წ. ოქტომბ. . . . . შტატი დამტკ. ბიუჯ. 1927 წ. . . . . ფაქტ. გადახ. ოქტომბერში . . . .

1927 წ. ნოემბ. . . . . ფაქტ. შტატები ოქტომბერში . . . . ნოემბერში . . . . .

1927 წ. დეკ. ½-ში . . . . დეკემბ. ½-ში . . . . დეკემბრ. ½-ში . . .

თანამდებობათა სახელწოდება ძველი ნომენ-კლატურით	თვითეული თანამდებობის პირთა რიცხვი	სამუშაო დღე		ფაქტიურად გადახ-დილი ჯამაგირი			თანამდებობათა სახელწოდება ახალი ნომენკლა-ტურით	თვითეული თანამდებობის პირთა რიცხვი	სამუშაო დღე		1 მომუშავის ჯამაგირი		ყველა ჯამაგირის თანხა	შენიშვნა
		ნორმალური სამუ-შაო დღე	არანორმალური სამუშაო დღე	1927 წ. ოქტომ-ბერში	1927 წ. ნოემბერში	1927 წ. დეკემბრის 1-ლ ნახევარში			ნორმალური სამუ-შაო დღე	არანორმალური სამუშაო დღე	წინასწარ გათვა-ლისწინებული	დაწესებული		

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 104 აკსუსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და გუფათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა.

254. გაერთიანებული და არაგაერთიანებული უწყებებისა და ცენტრალური დაწესებულებების მიერ საშტატო-საჯამაგირო ნუსხების წარდგენის ვადების შესახებ

1927 წ. დეკემბრის 10.

რათა თავის დროზე და ზედმიწევნით იქნეს განხორციელებული ა/კსფსრ-ში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმება, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის დეკემბრის 1-ლის თარიღისა და 56 №-ის დადგენილებისა და მის განსავითარებლად ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატსა, ამიერკავკასიის მ/გ. ინსპექციასა და პროფკავშირთა ამიერკავკასიის საბჭოსთან შეთანხმებით, ამა წლის დეკემბრის 10-ს თარიღით გამოცემული ინსტრუქციის თანახმად, ამიერკავკასიის შრომისა და მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატები ადგენენ:

1. დაეკალოს ყველა გაერთიანებულ და არაგაერთიანებულ უწყებასა და ცენტრალურ დაწესებულებას, მათი მეთაური უწყებებისა და დაწესებულების პასუხისმგებლობით, წარადგინონ საშტატო-საჯამაგირო ნუსხები ამასთანავე დართული ფორმით შემდეგ ვადებში (იხ. გვ. 447):

ა) გაერთიანებული უწყებები და ცენტრალური დაწესებულებები ამ ნუსხებს წარადგენენ არა უგვიანეს ამა წლის დეკემბრის 25-ისა ა/კსფსრ მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატსა და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატში და თანაც ამ უწყებების ასლებს გაჰგზავნიან ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭოში;

ბ) გაერთიანებულ უწყებათა რესპუბლიკანური ორგანოები ზემოაღნიშნულ ნუსხებს წარადგენენ სათანადო რესპუბლიკის მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატსა და შრომის სახალხო კომისარიატში, ასლებს—სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში არა უგვიანეს ამა წლის დეკემბრის 20-ისა;

გ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების არაგაერთიანებული უწყებები ზემოაღნიშნულ ნუსხებს წარადგენენ, არა უგვიანეს დეკემბრის 25-ისა, სათანადო რესპუბლიკის მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატსა და შრომის სახალხო კომისარიატში, ასლებს—ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და პროფკავშირთა საბჭოში.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგ. **ხუმარიანი.**

ა/კსფსრ შრომის სახ. კომისარიატის სტატარიფო-საკონფლიქტო განყ. გამგე **ნასყიდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1650 №-ში 1927 წ. დეკემბრის 13-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველოსთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1927 წ. დეკემბრის 7. № 9.

255. ამიერკავკასიის რკინისგზების ადგილობრივი ტარიფის მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის საწყობთან ტფილისის სადგურზე შეშის განსატვირთავად ვაგონების მიყენებისათვის და განჯის ვიწრო ლიანდაგიან შტოზე მგზავრების გადაყვანისათვის.

ა/კ. რკინისგზების 68(04) №-ის ადგილობრივი ტარიფის მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის საწყობთან ტფილისის სადგურზე შეშის განსატვირთავად ვაგონების მიყენებისათვის.

ა/კ. რკინის გზების 68(04) №-ის ადგილობრივი ტარიფის მოქმედება საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის საწყობთან ტფილისის სადგურზე შეშის განსატვირთავად ვაგონების მიყენებისათვის, რომლის მოქმედების ვადაც დაწესებულ იყო ა/წ. დეკემბრის 1-მდე და რომელიც გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1504 №-ში ა/წ. ივნისის 17-ს და ტარიფთა კრებულის 428 №-ში 9334 №-ის ტარიფად, განგრძნობილ იქნეს 1928 წლის ივნისის 1-მდე.

ა/კ. რკინისგზების 48(04) №-ის ადგილობრივი ტარიფის მოქმედობის ვადის განგრძობის შესახებ განჯის ვიწროლიანდაგიან შტოზე მგზავრების გადაყვანისათვის.

ა/კ. რკინის გზების 48(04) №-ი ადგილობრივი ტარიფის მოქმედება განჯის ვიწროლიანდაგიან შტოზე მგზავრების გადაყვანისათვის, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ზარია ვასტოკა“-ს 1298 №-ში 1926 წლ. ოქტომბრის 10-ს და ტარიფთა კრებულის 390 №-ში 7814 №-ის ტარიფად და რომლის მოქმედების ვადაც დაწესებული იყო 1927 წლის ოქტომბრის 16-მდე, განგრძნობილ იქნეს 1928 წლის ოქტომბრის 16-მდე.

ა/კ. რკ.-გზებ. სამმართვ. არსებული საუწყებათაშორისო
სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მაგიერ **ტერ-მიქაელიანი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველის თან. აღმ., უფრ.-ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1650 №-ში 1927 წ. დეკემბრის 13-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 57 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

256. შემთანხმებელი კომისიების შესახებ იმ შეუთანხმებლობათა გადასაწყვეტად, რაც აღიძვრის კოოპერაციასა და ა/კსფსრ სახელმწიფო მრეწველობის საწარმოთა შორის გენერალურ ხელშეკრულებათა და სხვა შეთანხმებათა დადებისა და აღსრულების დროს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმ შეუთანხმებლობათა განსახილველად, რაც აღიძვრის კოოპერაციასა და სახელმწიფო მრეწველობის საწარმოთა შორის გენერალურ და სხვა ხელშეკრულებათა დადების და აღსრულების დროს ა/კსფსრ-ში, საჭონლის რაოდენობისა ანგარიშის გასწორების პირობებისა, საქონლით მომარაგებისა და მათი რეალიზაციის წესისა და საშუალებების მხრით, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან და მის ორგანოებთან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მოეწყობა შემთანხმებელი კომისიები.

2. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული შემთანხმებელი კომისიების გამგებლობის საგანს შეადგენს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საკითხების გამო ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირსა და საერთო საკავშირო და ფედერატიული მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობის საწარმოთა შორის აღძრულ შეუთანხმებლობათა განხილვა.

3. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებთან არსებული შემთანხმებელი კომისიების გამგებლობის საგანს შეადგენს შემდეგ შეუთანხმებლობათა განხილვა:

ა) ერთის მხრით—საერთო საკავშირო და ფედერატიული მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობის საწარმოთა და მეორეს მხრით—რესპუბლიკანურ კოოპერატიულ ცენტრთა შორის;

ბ) ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირსა ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის რესპუბლიკანურ კოოპერატიულ ცენტრსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სხვა რესპუბლიკის სახელმწიფო მრეწველობის საწარმოთა შორის;

გ) ამა თუ იმ რესპუბლიკის კოოპერატიულ ცენტრსა და იმავე რესპუბლიკის სახელმწიფო მრეწველობის საწარმოთა შორის.

შენიშვნა. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს ამა მუხლში აღნიშნული ყოველგვარი შეუთანხმებლობა გადასცეს განსახილველად უშუალოდ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულ შემთანხმებელ კომისიას.

4. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული შემთანხმებელი კომისიის შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარედ—ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი და წევრად—თითო წარმომადგენელი:

ა) სახლმწიფო მრეწველობის სათანადო საწარმოსი და ბ) სათანადო კოოპერატიული ცენტრისა.

შენიშვნა. უკეთუ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი უშუალოდ იქნება დაინტერესებული, შემთანხმებელი კომისიის შედგენილობაში შეეა აგრეთვე თითო წარმომადგენელი: ა) სათანადო რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ბ) იმ სახალხო კომისარიატისა, რომლის უშუალო გამგებლობაშიაც იმყოფება საწარმო.

5. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებთან არსებული შემთანხმებელი კომისიების შედგნილობაში შედიან: თავმჯდომარედ—ვაჭრობის სახალხო ეომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენელი და წევრად—თითო წარმომადგენელი: ა) სახელმწიფო მრეწველობის სათანადო საწარმოსი და ბ) სათანადო რესპუბლიკის კოოპერატიული ცენტრისა.

შენიშვნა. უკეთუ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი უშუალოდ იქნება დაინტერესებული, შემთანხმებელი კომისიის შედგენილობაში შეეა აგრეთვე თითო წარმომადგენელი: ა) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ბ) იმ სახალხო კომისარიატისა, რომლის უშუალო გამგებლობაშიაც იმყოფება საწარმო.

6. უკეთუ შემთახმებელ კომისიაში შეთანხმება მიღწეული არ იქნა რაიმე საკითხის გამო, იგი კოოპერაციისა და ამა დადგენილების მე-2 მუხ. გათვალისწინებული სახელმწიფო მრეწველობის საწარმოთათვის გადაწყვეტილ იქნება ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, ხოლო დანარჩენ დაწესებულებათათვის—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (სათანადო რესპუბლიკაში) მიერ.

7. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და მის რწმუნებულთა (ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში) დადგენილება საბოლოოა, უკეთუ ამ დადგენილების შესახებ პროტესტი არ იქნება შეტანილი 7 დღის განმავლობაში პირველისათვის—ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში, ხოლო მეორისათვის—სათანადო რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირში.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მაგიერ **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **სოკოლოვსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1927 წლის დეკემბრის 1.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1651 №-ში 1927 წლის დეკემბრის 14-ს.